# ჩემპიონატი ეპილოგით




ამხაბადი, 4 ნოემბერი. სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატში გათამაშდა ბოლო, 190-ე პარტია: რუსინკევიჩმა წააგო ბორისენკოსთან.

ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ბრინჯაოს მედლის მფლობელის ვინაობა. ეს ჯილდო დაისაკუთრა ქვეყნის ექს-ჩემპიონმა მაია რანიკუმ (ტალინი). ოქროსა და ვერცხლის მედლების ბედი გადაწყდება დამატებით მატჩში (6 პარტია), რომელიც გაიმართება საქართველოს ორ წარმომადგენელს, თბილისის უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტ ნანა ალექსანდრიასა და საქართველოს სავაჭრო პალატის მთარგმნელ ალა ჩაიკოვსკაიას შორის. ამ ორთაბრძოლის ჩატარების დრო და ადგილი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ალექსანდრიამ და ჩაიკოვსკაიამ 13,5-13,5 ქულა დააგროვეს 19 შესაძლებლიდან, რანიკუმ—13, ბორისენკომ და კონოპლიოვამ — 12,5-12,5, ბილუნოვამ — 12, კაცკოვამ — 11,5, სკეგინამ—11, მედიანიკოვამ და შულმა—10,5-10,5, ზატულოვსკაიამ — 9,5, გოლოვეიმ — 9, ბელოვამ — 8,5, ესტერკინამ — 7,5, გურფინკელმა და ზვორიკინამ — 7-7, სანაძემ და სტარჩენკომ — 6-6, რუდენკომ და რუსინკევიჩმა — 4,5-4,5.

ქალთა XXVIII საკავშირო ჩემპიონატი „საბრძოლო ვითარებაში" ჩატარდა. ყაიმები აქ ნაკლები იყო, ვიდრე, ვთქვათ, ყველა ადრინდელ პირველობაში. მარცხის სიმწარე არ განუცდია შეჯიბრების მხოლოდ ერთ მონაწილეს — გამოცდილ საერთაშორისო ოსტატს ვ. ბორისენკოს, ალექსანდრიამაც კი 4 პარტია წააგო. სამაგიეროდ, როგორც რანიკუს, მასაც სხვაზე მეტი გამარჯვება ხვდა — 12.

ჩემპიონატის დაწყებამდე პრესაში გამოთქმული აზრი, რომ ახალგაზრდობას სერიოზული გამოცდილის გამობრძმედილ ოსტატებთან შეჯიბრებაში, სავსებით არ გამართლდა: შეჯიბრებაში ტონს სწორედ ახალგაზრდები იძლეოდნენ. პრეტენდენტთა ტურნირების ამასწინანდელმა მონაწილეებმა, საერთაშორისო ოსტატებმა ზატულოვსკაიამ, ზვორიკინამ, გურფინკელმა აშკარად ვერ გაუძლეს თავიანთ უმცროსი მეგობრების მეტოქეობას და სატურნირო ცხრილის მეორე ნაწილში მოექცნენ.

შემოქმედებითი შედეგების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს ტაქტიკის მნიშვნელობის ზრდა. ჩვენი მოჭადრაკეები შეტევის დროს გამომგონებლობას იჩენენ, კარგად ერკვევიან გართულებებში, მაგრამ ჯერ კიდევ მოსდით ტექნიკური „წუნიც", განსაკუთრებით, ენდშპილში.

სსრ კავშირის ჩემპიონატი პირველად ჩატარდა შუა აზიაში. ცდა გამართლდა — ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული, მონაწილეთ ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება არ მოჰკლებიათ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 218 (3702)

1968 წ. 5 ნოემბერი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



გუშინწინ თბილისში გაიმართა „ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების — გორის „დილისა" და ლანჩხუთის „გურიის" ფინალური მატჩი შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე.

ს უ რ ა თ ზ ე: „გურიის" მეკარე კაჭარავა იგერიებს ძნელ ბურთს. ფოტო გ. რუსაკისა.

(მატჩის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

# დარჩა სამი ტური

ლუგანო, 2 ნოემბერი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის VIII ტურში ყურადღების ცენტრში, ცხადია, იყო ლიდერების — სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა (როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 2,5:1,5). 8 დიდოსტატის ბრძოლა ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩატარდა. თეთრებით მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი უკვე მე-13 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა ს. გლიგორიჩს. მათ მიბაძეს ლ. პოლუგაევსკი — მ. მატულოვიჩმა და ვ. სმისლოვ — ბ. პარმამ. მხოლოდ ვ. კორჩნოიმ არ უღალატა თავის ტრადიციას — უშეღავათოდ იბრძოლა და საინტერესო გამწვავებების შემდეგ დაამარცხა ბ. ივკოვი.

ჩეხოსლოვაკიელებმა აჯობეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს — 2,5:1,5 (ვ. ჰორტმა მოუგო ვ. უნციკერს).

მეტისმეტად მწვავე ბრძოლით აღინიშნა არგენტინისა და უნგრეთის მოჭადრაკეთა შეხვედრა. ოთხივე პარტია დაუმთავრებელი დარჩა, რაც ოლიმპიადების პრაქტიკაში იშვიათი შემთხვევაა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: რუმინეთი — აშშ 1,5:2,5 (ფ. გეორგიუ — ს. რეშევსკი 0,5:0,5), კანადა — დანია 1:0 (3 პარტია გადადებულია), ბულგარეთი — პოლონეთი 1,5:1,5 (1), გდრ — ფილიპინები 1:0 (3).

ადრე გადადებულ პარტიებში პ. ბენკომ დამარცხებულად სცნო თავი ე. გელერთან. ამრიგად, სსრ კავშირისა და აშშ-ს მატჩის საბოლოო შედეგია 3,5:0,5. იუგოსლაველი მატულოვიჩის დრამატული ბრძოლა ბულგარელ ნ. პადევსკისთან ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა.

ლუგანო, 3 ნოემბერი. საბჭოთა მოჭადრაკეებმა „მშრალ" ანგარიშს მიაღწიეს პოლონელებთან შეხვედრაში — 4:0. პეტროსიანმა, ბ. სპასკიმ, გელერმა და სმისლოვმა შესაბამისად დაამარცხეს ოსტატები ბ. ბედნარსკი, ვ. შმიდტი, ი. ადამსკი და რ. გრაბჩევსკი. ეს მოხდა IX ტურში — გადადგმულია კიდევ ერთი ნაბიჯი ოქროს მედლებისკენ.

დაძაბულად წარიმართა იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდების მატჩი, სადაც პირველ დაფაზე ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო პირველობის ამასწინანდელი პრეტენდენტები გლიგორიჩი და ლ. პორტიში. 32-ე სვლაზე გაიმარჯვა გლიგორიჩმა. გადადებულ პარტიაში ივკოვი უპირატესობას ინარჩუნებს ლ. საბოსთან. ჯერჯერობით წინ არიან იუგოსლაველები — 2:1.

რუმინელებმა ყაიმით დაამთავრეს ძნელი მატჩი არგენტინელებთან — 2:2. სამხრეთამერიკელმა ვეტერანმა მ. ნაიდორფმა მხოლოდ ყაიმს მიაღწია ჭაბუკ რუმინელ დიდოსტატ ფ. გეორგიუსთან.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ბულგარეთი — გდრ 1,5:0,5 (2), აშშ — ჩეხოსლოვაკია 1,5:1,5 (1), გფრ—კანადა 1,5:0,5 (2), ფილიპინები — დანია 1,5:0,5 (2). წინადღით გადადებული პარტიების დამთავრებისას უნგრელებმა გაიმარჯვეს არგენტინელებთან — 2,5:1,5 (პორტიშმა მოუგო ო. პანოს).

ლუგანო, 4 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის გუნდი ანგარიშით 1,5:0,5 დაწინაურდა გდრ-ის მოჭადრაკეებთან მატჩში. პეტროსიანმა დაამარცხა ვ. ულმანი, ხოლო სპასკისა და ბ. მალიჩის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გელერისა (ჰ. ლიბერტთან) და პოლუგაევსკის (ა. ჰენინგსთან) პარტიები შესვენებისთვის დაუმთავრებელი დარჩა.

X ტურში გამართულმა სხვა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: რუმინეთი — იუგოსლავია 1,5:1,5 (გეორგიუმ მოუგო გლიგორიჩს. 1 პარტია გადადებულია), უნგრეთი — პოლონეთი 2:0 (2), დანია — ბულგარეთი 1,5:0,5 (2), კანადა — ჩეხოსლოვაკია 1,5:0,5 (2), გფრ — ფილიპინები 1:0 (3), აშშ — არგენტინა 0,5:0,5 (რეშევსკიმ და ნაიდორფმა ყაიმით დაამთავრეს პარტია. 3 შეხვედრა გადადებულია).

10 ტურის შემდეგ მოწინავე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირი — 30 ქულა, იუგოსლავია — 24, ბულგარეთი — 21, აშშ — 20,5, გფრ და უნგრეთი — 20-20 (აქ აღნიშნული არ არის გადადებული პარტიების რაოდენობა).

ოლიმპიადის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. დღეს საბჭოთა ნაკრები დანიის გუნდს ხვდება.




ახლოვდება ახალი, 1969 წელი. იგი მდიდარი იქნება საინტერესო სპორტული ბატალიებით: გაიმართება მსოფლიოს, ევროპის, საკავშირო, რესპუბლიკური ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო შეხვედრები და სხვა დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობანი.

თუ სურვილი გაქვთ იყოთ სპორტულ მოვლენათა ხაქმის კურსში, გამოიწერეთ გაზეთი „ლელო".

საათი!

◆ ლუგანო, 4 ნოემბერი. XIX ოლიმპიადიდან სამშობლოსკენ მიმავალმა სპორტული სიარულის შვედმა ოსტატმა ს. ლინდბერგმა შვეიცარიის ქალაქებს ოლივიანოს, ლოკარნოსა და ლუგანოს შორის 100-კილომეტრიან ტრასაზე გამართულ შეჯიბრებაში, განუწყვეტელ წვიმაში პირველობა მოიპოვა — 10:15.39,6. ამ ზემარათონული შეჯიბრების სტარტი 33 სპორტსმენმა აიღო, მაგრამ ფინიშს მხოლოდ ცამეტმა მიაღწია.

◆ სანტ-იაგო, 4 ნოემბერი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა 100 მეტრზე რბენაში ლ. მილერმა (იამაიკა) ჩილიელ ი. მორენოსთან მწვავე ბრძოლაში ამ დისტანციაზე ზუსტად 10 წამი აჩვენა. მეორე „ვერცხლის ოლიმპიელი", ბრაზილიელი ნ. პრუდენსიო საუკეთესო იყო სამხტომში — 16,24 მ. ტრინიდადელმა ე. რობერტსმა 400 მ 45,9 წამში გაირბინა.

◆ მონტევიდეო, 4 ნოემბერი. ძმები პეტერსონების კვარტეტმა— გესტამ, სტურემ, ერიკმა და თომასმა შვეციას ამჯერადაც არ „უღალატეს" — 100 კილომეტრზე საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში კვლავ მოუპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — 1:54.48,90. ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს შვეიცარიელებმა (2:01.20,46), ხოლო ბრინჯაოსი — იტალიელებმა (2:02.05,09). აქვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ოლიმპიური ჩემპიონები — ჰოლანდიელები.

◆ ჟენევა, 4 ნოემბერი. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში შვეიცარიამ ოქროს ერთადერთი მედალი მიიღო... „ომეგის" ფირმის ქრონომეტრების ბრწყინვალე მუშაობისთვის. როგორც ცნობილია, ამ სახელგანთქმული ფირმის ქრონომეტრები აღნუსხავდნენ მოასპარეზეთა შედეგებს. ეს მედალი თავისებური ჯილდოა ფირმის „ნაკრები გუნდისა", რომელიც 45 მესაათესპეციალისტს აერთიანებდა. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ „ომეგის" ფირმის „გუნდი" რიცხობრივად აღემატებოდა შვეიცარიის ოლიმპიურ ნაკრებს, რომელმაც მეხიკოში ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 4 მედალი მოიხვეჭა.




## ბურთები, გოლები, ქულები

საკავშირო ჩემპიონატი გრძელდება, მაგრამ სატურნირო ცხრილის 2 ადგილი საბოლოოდ გამორკვეულია. კიევის დინამოელებმა მესამედ გაინაღდეს ჩემპიონის წოდება, ხოლო 2 ნოემბერს გაირკვა გუნდის ვინაობა, რომელმაც საგაისოდ უნდა დატოვოს უმაღლესი ლიგა. ესაა კიროვაბადის „დინამო“. კიროვაბადელებმა „ა“ კლასის I ჯგუფში დარჩენის უკანასკნელი შანსი დაკარგეს 2 ნოემბერს ცსკა-სთან მატჩში. მასლიაევის ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა ცსკა-ს.

გუშინწინ შედგა 36-ე ტურის მორიგი შეხვედრები. კიევის დინამოელებმა შინ მიიღეს „არარატი“ და დუბლიორთა შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი. იგი ფრედ დამთავრდა — 0:0. ასევე არ გატანილა არც ერთი ბურთი მოსკოვის „დინამოსა“ და „ნეფტჩის“ შეხვედრაში.

ერთნაირი ანგარიშით (1:0) დამთავრდა 2 მატჩი. მინსკის დინამოელებმა დაამარცხეს როსტოვის არმიელთა გუნდი (გოლი გაიტანა ხახაროვმა). არმიელებს შეეძლოთ ეხსნათ წაგებული თამაში, მაგრამ ბორდოვსკიხის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია მეკარე კატეევმა.

„პახტაკორის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა კრასნიცკიმ გაიტანა გოლი „ზარიასთან“ შეხვედრაში.

„კაირატმა“ თავის მინდორზე მოუგო „შახტიორს“ — 3:1. გამარჯვებული გუნდის მხრივ სამივე გოლის ავტორია აბგოლცი. დონეცკელთაგან ბურთი გაიტანა ზახაროვმა.

## [illegible]...

კუიბიშევსა და მოსკოვში შედგა მორიგი მატჩები. კუიბიშევში „კრილია სოვეტოვი“ დამარცხდა „სპარტაკთან“ (0:2), ხოლო მოსკოვში ადგილობრივმა „ტორპედომ“ სძლია „ლოკომოტივს“ — 1:0.

• • •

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო მაგნიტოგორსკის „მეტალურგი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:0.

ბათუმის „დინამომ“ ფრედ (2:2) ითამაშა იოშკარ-ოლას „სპარტაკთან“.

სსრ კავშირის პირველობა

# 2 შეხვედრა, 2 ფრე

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 3 ნოემბერი.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:1).

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, კუზმინი, ლისენკო, რიაშკო, სირომიატნიკოვი, ჟუჩკო, სეკეჩი (ვარგა), შიმანოვიჩი, ბოსი (ბოკატოვი), კუჩინსკასი, ზვენიგოროდსკი.

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჰოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, სიჭინავა, გავაშელი, ნოდია, მესხი.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა გავაშელმა. ბურთი ასე იქნა გატანილი: ხურცილავას შორეული ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი მოიგერია იარჩუკმა, მაგრამ მას მიუსწრო გავაშელმა და გახსნა ანგარიში. საპასუხო გოლის ავტორია ვარგა (53-ე წ.).

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ოდესელებმა — 1:0.

• • •

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 3 ნოემბერი.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.

„ზენიტი“: შაპოვალენკო, ბულავინი, ნაუმოვი, ლოხოვი, იუმაკულოვი, სადირინი, პოლიაკოვი (პოპოვი), ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი, უნანოვი.

„ტორპედო:“ კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ასიტაშვილი, ერქომაიშვილი, ზარია, ხერხაძე, ვეკუა, ჭითანავა.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:2 „ზენიტის“ სასარგებლოდ.

„ა“ კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

[illegible]

მდგომარეობა 5 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 37 | 21 | 14 | 2 | 56—23 | 56 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 36 | 20 | 9 | 7 | 60—40 | 49 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 36 | 18 | 12 | 6 | 57—29 | 48 |
| ცსკა | 36 | 19 | 9 | 8 | 48—30 | 47 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 37 | 18 | 9 | 10 | 57—32 | 45 |
| „დინამო“ (თბილისი) | 36 | 15 | 12 | 9 | 44—25 | 42 |
| „დინამო“ (მინსკი) | 35 | 16 | 10 | 9 | 45—32 | 42 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 35 | 11 | 15 | 9 | 45—42 | 37 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 36 | 10 | 16 | 10 | 34—37 | 36 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 36 | 12 | 11 | 13 | 38—45 | 35 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 37 | 10 | 13 | 14 | 23—39 | 33 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 9 | 14 | 13 | 31—45 | 32 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 36 | 9 | 13 | 14 | 38—41 | 31 |
| სკა (როსტოვი) | 36 | 10 | 10 | 16 | 38—46 | 30 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 36 | 11 | 8 | 17 | 31—40 | 30 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 36 | 9 | 11 | 16 | 22—37 | 29 |
| „არარატი“ (ერევანი) | 36 | 10 | 8 | 18 | 32—45 | 28 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 36 | 9 | 9 | 18 | 39—58 | 27 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 37 | 8 | 10 | 19 | 27—49 | 26 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 36 | 5 | 9 | 22 | 23—53 | 19 |



# თასი „დილამ“ მოიპოვა

თბილისი. „სინათლის“ სტადიონი. 3 ნოემბერი.

„დილა“ (გორი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0 (0:0).

„დილა“: თბილელაშვილი, ნახუცრიშვილი, კობიაშვილი, კოზინი, ვანიშვილი, მარღიშვილი, ჯორბენაძე, გელდიაშვილი, კაპანაძე, ბურჯანაძე, ივანოვი.

„გურია“: კაჭარავა, სანაძე, წილოსანი, ფილია, ქირია, შავდია, კოხრეიძე (მენთეშაშვილი), ჩხარტიშვილი, პერტენავა, ძიძიგური, სიხარულიძე (ნარიაშვილი).

მსაჯი კ. ურუაშვილი (თბილისი).

საქართველოს „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები ყოველ გაზაფხულს მონაწილეობენ გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზის ტურნირში. ეს კარგ ტრადიციად დაწესდა ჩვენში. რესპუბლიკის მეორე ეშელონის კოლექტივებისთვის შ. შავგულიძის სახელობის პრიზის გათამაშება საუკეთესო მოსამზადებელ საშუალებას წარმოადგენს წინასასეზონო პერიოდში.

პრიზი წლეულსაც გათამაშდა, მაგრამ მისი დასკვნითი, ფინალური მატჩი გაზაფხულზე ვერ ჩატარდა და გადმოტანილ იქნა გვიანი შემოდგომისთვის. და მოხდა ისე, რომ ფინალისტები აღმოჩნდნენ სწორედ ისინი, ვისაც რსფსრ-ს III და IV ზონებში საუკეთესო მიღწევები ჰქონდა ჩვენს გუნდებს შორის — გორის „დილა“ და ლანჩხუთის „გურია“.

ფინალისტებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ ისინი შემთხვევით არ ყოფილან სხვა გუნდებზე წინ „ბ“ კლასის საკავშირო გათამაშებაში და ერთმანეთის ღირსეული მეტოქეები იყვნენ ვეტერანის პრიზის პრეტენდენტების როლში. ბრძოლას მსაჯის პირველი სასტვენიდან დასასრულამდე შეუპოვარი, სპორტულად დაუნდობელი ხასიათი ჰქონდა. მძიმე გრუნტის მიუხედავად, რომელიც საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს, უკიდურესად მაღალი ტემპი არც ერთი წუთით არ შემწყდარა. ორივე გუნდს საკმაოდ ჰყავდა ქომაგები ტრიბუნებზე და მათი გულშემატკივრობა ანაზღაურებულ იქნა ფეხბურთელთა სრული მონდომებით და მატჩის შეუნელებელი დაძაბულობით.

საკმაოდ შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე გორელებმა მოიპოვეს. ისინი კარგად იყენებდნენ გამთამაშებელი ნახევარმცველის ჯორბენაძის ტაქტიკურად გააზრებულ თამაშს. ჯორბენაძეს ზუსტი გადაცემებით გაჰყავდა გარღვევაზე კაპანაძე, ბურჯანაძე და ივანოვი, ხოლო ხელსაყრელ მომენტებში თვითონაც ზუსტად ურტყამდა კარში შორიდან. მე-20 წუთზე ივანოვმა დაკარგა გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, ცოტა ხნის შემდეგ კი კაჭარავამ კუთხურზე მოიგერია ბურჯანაძის უძლიერესი დარტყმა.

ტაიმის დასასრულს ინიციატივამ „გურიის“ მხარეს გადაინაცვლა. ახლა მძიმე დატვირთვა დააწვა გორელთა დაცვას და მეკარე თბილელაშვილს. „დილის“ გამოცდილ მეკარეს ხშირად უხდებოდა ძნელი ბურთების აღება, ხოლო ჩხარტიშვილმა და პერტენავამ ორჯერ ვერ შეძლეს კარგად გათამაშებული შეტევების დაგვირგვინება.

ლანჩხუთელთა რიგებში სწრაფი, აგრესიული თამაშით გამოირჩეოდა ჩხარტიშვილი და გუნდს სწორედ მისი აქტიურობა უნდა გამოეყენებინა მაქსიმალურად. მაგრამ ჩხარტიშვილს იშვიათად მისდიოდა გადაცემები და, ამდენად, იგი სრული შესაძლებლობით არ იქნა გამოყენებული.

დაიწყო მეორე ტაიმი და თბილელაშვილს ისევ მოუხდა ძნელი ბურთის აღება კოხრეიძისგან. „დილა“ წამსვე სწრაფ კონტრშეტევაზე გადავიდა და გელდიაშვილმა შორიდან მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა კარში. ზუსტად გაგზავნილი ბურთი კარის მარცხენა, მაღალ კუთხეში გავიდა — 1:0.

ფინალურმა მატჩმა დიდი კმაყოფილება მოუტანა ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც ძლივს დაეტია „სინათლის“ სტადიონის ტრიბუნებმა. და აი, აქ გულისტკივილით უნდა შევუერთდეთ გულშემატკივართა კანონიერ საყვედურს იმის თაობაზე, რომ შოთა შავგულიძის პრიზის ფინალი აუცილებლად უნდა ჩატარდეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე და არა სხვაგან. ვეტერანის ხსოვნაც და ფინალის მნიშვნელობაც ამას სავსებით იმსახურებენ. „სინათლის“ სტადიონი მოუწყობელი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ შესაფერისად ჩატარებულიყო ფინალისტთა დაჯილდოება. წაყურებლები გადმოვიდნენ მინდორზე და ამის გამო ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარეს გ. ჯინჭარაძეს სახელდახელოდ მოუხდა პრიზის გადაცემა გორელთათვის.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: შ. შავგულიძის სახელობის პრიზის მფლობელი — გორის „დილა“.

ფოტო ე. რუსაკისა.

# ჯანმრთელობის საქალაქო...

სამი წელია, რაც ქუთაისში ჯანმრთელობის პირველი სახალხო კლუბი — „იმერეთი“ შეიქმნა. იგი ნაყოფიერად მუშაობს ავტოქარხნის დაბის მცხოვრებთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის დანერგვისთვის. სახლმმართველობებთან მოეწყო ფრენბურთის 15, კალათბურთის 5 და ფეხბურთის 3 მოედანი. საკმარი რაოდენობით აქვთ სპორტული ინვენტარი. წრეების ნაყოფიერი საქმიანობისთვის სპორტკლუბ „კოლხიდის“ დახმარებით მომზადდა 25 საზოგადოებრივი მწვრთნელი და მსაჯი, რომლებიც უნარიანად უძღვებიან ადგილობრივ ტურნირებს და კარგად მომზადებული გუნდებიც გამოიყვანეს ჯანმრთელობის პირველ საქალაქო სპარტაკიადაში.

შეჯიბრებანი ცალ-ცალკე გაიმართა: სპორტკლუბები „იმერეთი“ და „რიონი“ ერთმანეთს ებრძოდნენ, სახლმმართველობათა სპორტული კოლექტივები კი ცალკე ასპარეზობდნენ.

„რიონმა“ მოიგო მძლეოსანთა და ფეხბურთელთა ტურნირები. სამაგიეროდ, „იმერეთმა“ სხვა სახეობებში იასპარეზა წარმატებით და საერთო პირველობაც დაისაკუთრა.

სახლმმართველობებს შორის გამარჯვებისთვის 8 კოლექტივი იბრძოდა. აქ ყველას მე-6 სახლმმართველობის (უფროსი ნ. ბერაძე) ნაკრებმა აჯობა. II ადგილზე გავიდა მე-4 სახლმმართველობის (ნ. სართანია), III — მე-2 სახლმმართველობის (ზ. არჩვაძე) გუნდი.

ჯანმრთელობის პირველმა საქალაქო სპარტაკიადამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ ბევრი ნაკლოვანებაც გამოავლინა. 1-ლმა და მე-10 სახლმმართველობებმა ვერ შეძლეს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან მათი ხელმძღვანელები არავითარ ყურადღებას არ უთმობენ სპორტული ბაზების შექმნას და მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლას. დაბალ დონეზეა სპორტის პროპაგანდის საქმეც.

მ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

# ორჭილის ჯამში

ბათუმში, ლენინის მოედანზე, ორ დღეს გაგრძელდა აჭარის პირველობა ავტოორჭილში, რომელიც დოსააფის ავტო-მოტოკლუბმა მოაწყო. პროგრამაში იყო ავტომანქანებით ფიგურული სვლა და საწვავის ეკონომია. მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის, ქობულეთის, ბათუმის, ქედისა და შუახევის რაიონების გუნდები.

ფიგურულ სვლაში აჭარის ჩემპიონი გახდა ბათუმელი ს. ვოსკანიანი. II ადგილზე გავიდა ზ. თხილაიშვილი, III — ზ. ლაზმა (ორივე — ქობულეთის რაიონი). საწვავის ეკონომიაში ყველას აჯობა ზ. ადამიამ (ბათუმი). ჯ. შიშმანიძე (ქობულეთის რაიონი) და დ. სანიკიძე (ბათუმი) მომდევნო ადგილებს დასჯერდნენ.

გუნდური პირველობა ბათუმელმა მძღოლებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდა ქობულეთის რაიონის კოლექტივი, III — შუახევის რაიონის გუნდი.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## [illegible]

### ✦ ქარელი

ორ კვირას გრძელდებოდა აგარის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ტურნირი მძლეოსნურ ოთხჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 458 მოსწავლე. გოგონებში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა რ. მურჯიკნელმა. ბიჭებში გაიმარჯვა გ. გაბარევმა. გამარჯვებულთ გადაეცათ თასები. შეჯიბრების 78 მონაწილემ სათანრიგო ნორმატივი აჩვენა.

გ. ლურსმანაშვილი.

### ✦ ასპინძა

დამთავრდა რაიონის ჩემპიონატები ფეხბურთში, კალათბურთსა და ჭადრაკში. ყველა შეჯიბრება კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნებოდა.

ფეხბურთში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ასპინძის საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ სოფელ ხიზაბავრის, III — განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ფეხბურთელები.

კალათბურთში ყველას აჯობა „კოლმეურნის“ გუნდმა. II ადგილი დაისაკუთრეს „სპარტაკის“, III — ასპინძის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ჭადრაკში რაიონის ჩემპიონი გახდა ჰ. მარკოსიანი (სოფ. დამალა). II-III ადგილები გაიყვეს ო. ცინაძემ (ასპინძა) და გ. საგატელიანმა (სოფ. დამალა).

გ. ცინაძე,
ასპინძის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

### ✦ აბაშა

ოც დღეს მიმდინარეობდა რაიონული პირველობა სოფლის ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ტყვირისა და სეფიეთის გუნდებმა. გამარჯვება ანგარიშით 2:1 წილად ხვდათ ტყვირელ ფეხბურთელებს.

რ. ჭანტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა





თ. ლეიუსი (ერთეულებში და შერეულ წყვილებში მოიპოვა I ადგილები (ვაჟთა წყვილებში —II ადგილი); ტ. კივი (ერთეულებში მოიპოვა I ადგილი).



ა. მეტრეველი (ვაჟთა წყვილებში მოიპოვა I ადგილი, ერთეულებში და შერეულ წყვილებში — II ადგილები).



ვ. ბაკშეევა (ქალთა და შერეულ წყვილებში მოიპოვა I ადგილები, ერთეულებში — II ადგილი).

# ფინალის მოულოდნელობანი

გუშინწინ თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა 36-ე ჩემპიონატი. სწორედ ამ დღეს მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებ ველოდით: ერთეულებში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონებმა ა. მეტრეველმა და გ. ბაკშეევამ თითქმის უბრძოლველად გადაულოცეს „სამეფო და სადედოფლო გვირგვინები" ესტონელ ჩოგბურთელებს თ. ლეიუსსა და ტ. კივის. ეს ესტონური ჩოგბურთის უთუოდ ბრწყინვალე გამარჯვებაა. ამგვარად, ჩვენი ქვეყნის 1963-64-65 წლების ჩემპიონმა თ. ლეიუსმა ჩამოიშორა უსიამო „ექსი", ხოლო ტ. კივიმ პირველად იწეიმა ესოდენ დიდი გამარჯვება. სხვათა შორის, ასეთი დუბლი ესტონელებმა 1965 წელსაც გააკეთეს. მაშინაც მათი ჩოგბურთელები იყვნენ ერთეულებში უძლიერესნი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლეიუსთან ერთად ჩემპიონობის სიხარული გაიზიარა ტ. სოომემ (ამჟამად სიმსონი).

ახლა თვით ფინალური ბრძოლების შესახებ. ადრე ჩვენ ვწერდით, რომ მეტრეველმა ფინალისკენ გზა ძალიან იოლად გაიკაფა. ამიტომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი თუ ადვილად არა, ყოველ შემთხვევაში, მეტოქესთან თანაბარ ბრძოლაში მაინც დაამტკიცებდა თავის უძლეველობას. სინამდვილეში კი ეს იმედი გაგვიცრუა. კორტზე მეტრეველს ვერ ვცნობდით, მაყურებლებმა ვერ იხილა მისი ძალიან ძლიერი პირველი მოწოდება, სრულიად არ გამოსდიოდა მარცხნიდან ძლიერი დარტყმა, არ ჩანდა მისთვის ჩვეული ირიბი თუ გრძელი დარტყმები, შემოკლებული თუ ხვეული და მზაკვრულად გაგზავნილი ბურთები... ამ ვითარებაში ლეიუსმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა. ერთი სიტყვით, მან უაღრესად დამაჯერებლად მოიგო — 6:0, 6:2, 6:3. ასეთი მარცხი მეტრეველს, რაც დიდი ჩოგბურთის სარბიელზე გამოჩნდა, ჯერ არ განუცდია.

სად უნდა ვეძიოთ ამ მარცხის მიზეზი? პირველი მიზეზი (და იქნებ ყველაზე მთავარიც) ის გახლავთ, რომ მძიმე ტრავმის შემდეგ მეტრეველმა ვერ მოასწრო სავსებით განკურნება და, რა თქმა უნდა, არც სათანადოდ ნავარჯიშევი იყო. მაგრამ არის მეორე მიზეზიც: ფინალის გზაზე მეტრეველს ვერც ერთმა ჩოგბურთელმა ვერ გაუწია სათანადო მეტოქეობა და იგი, თუ შეიძლება ითქვას, „მოდუნებული" შეხვდა ფინალს. რამდენიმე ახალგაზრდა და ძლიერი ჩოგბურთელი მეხიკოში გამოდიოდა და საკავშირო ტურნირში არ მონაწილეობდა. კაკულია, კოროტკოვი და ვოლკოვი აქ რომ ყოფილიყვნენ, ბრძოლა უფრო საინტერესო და დაძაბული იქნებოდა. თუმცა, სამიოდე ძლიერი ჩოგბურთელით წინ მაინც ვერ წავალთ. საფიქრელი ისაა, რომ საკავშირო ტურნირში მონაწილე 64 ჩოგბურთელი ვაჟიდან სამი-ოთხი სპორტსმენი თუ აკმაყოფილებდა თანამედროვე ჩოგბურთის მოთხოვნებს.

ბაკშეევა ძალიან დუნედ, უცეცხლოდ თამაშობდა და აკი დაისაჯა კიდეც. კივიმ დროზე იგრძნო ეს, კარგად გამოიყენა ბაკშეევას შეცდომები და ზუსტი თამაშით ჩემპიონობაც მოიპოვა — 3:6, 6:3, 6:1.

შერეულ წყვილთა ფინალში ბაკშეევასა და ლეიუსის წინაამდეგ უხალისოდ თამაშობდნენ ო. მოროზოვა და მეტრეველი. შედეგმაც არ დააყოვნა: ბაკშეევამ და ლეიუსმა გაიმარჯვეს — 6:4, 6:2.

ბოლო დღეს გაიმართა წყვილთა შეხვედრები III-IV ადგილებისთვისაც. ვაჟთა წყვილებში იმარჯვეს ა. იუხველტმა და პ. ლამპმა, რომლებმაც მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს ა. ივანოვი და ვ. პალმანი — 10:8, 14:12, 6:3. შერეულ წყვილებში III ადგილი დაიკავეს თბილისელმა რ. აბჟანდაძემ და რ. სივოხინმა. მათ დაამარცხეს ე. იზოპაიტისი და ბ. ლუნინი — 6:4, 6:2.

მ. ქავთარია.




## ტექნიკური შედეგები

### ვაჟები

**შეხვედრები V-VI ადგილებისთვის. I ტური.** პესჩანკო — ევინგი 6:2, 6:4, ივანოვი — სეპი 6:3, 6:2. **დასკვნითი ტური.** ივანოვი — პესჩანკო (პესჩანკო თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა ივანოვს).

**შეხვედრა VII-VIII ადგილებისთვის.** ევინგი — სეპი 6:2, 6:4.

**მთავარი ტურნირის მესამე წრეში დამარცხებულთა სანუგეშო ასპარეზობა (IX-XVI ადგილები). I ტური.** მინაიჩევი — შაპირო 6:3, 7:5, პალმანი — ბექუნოვი (ბექუნოვი თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა პალმანს), ბუზმაკოვი — იუხველტი 6:4, 6:2, დიბცევი — ვასილიევი 6:1, 6:1. **II ტური.** პალმანი — მინაიჩევი 6:3, 3:6, 6:0, ბუზმაკოვი — დიბცევი 4:6, 6:2, 6:2. **დასკვნითი ტური.** პალმანი — ბუზმაკოვი 6:1, 8:6.

**მთავარი ტურნირის მეორე წრეში დამარცხებულთა სანუგეშო ასპარეზობა (მე-17-32-ე ადგილები). I ტური.** კაპლანასი— გიგაია 6:3, 4:6, 6:1, სივოხინი — ტარპიშჩევი (ტარპიშჩევი თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა სივოხინს), ლუნინი — ლანგე 6:3, 7:5, გუსევი — ნეკრასოვი 6:2, 6:2, კაპლანი — პერეგუდოვი 4:6, 6:4, 13:11, შვეცოვი — იუშკა (იუშკა თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა შვეცოვს), სენჩუროვი — ეპიკი 6:4, 6:1, ჩობა — სიმსონი (სიმსონი თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა ჩობას). **II ტური.** სივოხინი— კაპლანასი 6:1, 6:2, ლუნინი — გუსევი 6:2, 1:6, 6:3, კაპლანი — შვეცოვი 6:4, 1:6, 6:1, სენჩუროვი — ჩობა 6:0, 8:6. **III ტური.** სივოხინი — ლუნინი 6:1, 6:2, კაპლანი — სენჩუროვი 6:4, 6:3. **დასკვნითი ტური.** სივოხინი — კაპლანი 6:4, 4:6, 6:2.

**მთავარი ტურნირის პირველ წრეში დამარცხებულთა სანუგეშო ასპარეზობა (33-ე-64-ე ადგილები). I ტური.** შკლიარი — ბოგოროდეცკი 6:2, 6:1, რუბანოვი — გოლუბიატნიკოვი 6:3, 4:6, 6:4, ნ. აკსანოვი — დუტოვი 6:4, 6:3, პოდოლსკი — ფილევი 4:6, 6:1, 6:2, კრასნოვი — ორლოვი 6:2, 4:6, 9:7, სიტკოვი — მურსი 6:2, 4:6, 6:0, ანისიმოვი — ლეპეშინი (ლეპეშინი თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა ანისიმოვს), კაზაკევიჩი — ქირკო 6:2, 6:3, ახალაძე — ასათიანი 6:0, 6:2, დუბროვი — რ. პარმასი 6:3, 8:6, დესიატნიჩენკო — ე. ივანოვი 9:7, 7:5, ლამპი — პ. აკსანოვი 4:6, 9:7, 7:5, ვერულავა — კოლიასკინი 6:0, 6:1, კონდრატიევი — რანდმერი 3:6, 6:2, 6:4, ალექსანდროვსკი — შვარცბურდი 4:6, 6:4, 6:2, ვ. აბაშკინი — პავლოვი 10:8, 6:4. **II ტური.** რუბანოვი — შკლიარი 5:7, 6:2, 10:8, პოდოლსკი — ნ. აკსანოვი 6:2, 6:1, სიტკოვი — კრასნოვი 6:4, 6:4, ქირკო — ანისიმოვი 2:6, 10:8, 12:10, ახალაძე — დუბროვი 6:3, 6:0, ლამპი — დესიატნიჩენკო 6:4, 6:1, კონდრატიევი — ვერულავა 4:6, 9:7, 8:6, ალექსანდროვსკი — აბაშკინი 6:1, 6:4. **III ტური.** რუბანოვი — პოდოლსკი (პოდოლსკი თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა რუბანოვს); სიტკოვი — ქირკო (ქირკო თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა სიტკოვს), ლამპი — ახალაძე 6:4, 2:6, 6:1, ალექსანდროვსკი — კონდრატიევი 6:2, 6:2. **IV ტური.** რუბანოვი — სიტკოვი 8:6, 1:6, 6:3, ლამპი — ალექსანდროვსკი 6:3, 6:2. **დასკვნითი ტური.** ლამპი — რუბანოვი 6:3, 6:1.

### ქალები

**შეხვედრები V-VI ადგილებისთვის. I ტური.** ივანოვა (თბილისი) — ზინკევიჩი 6:4, 6:2, მოროზოვა — ჩუვირინა 6:4, 6:4. **დასკვნითი ტური.** მოროზოვა — ივანოვა 5:7, 7:5, 6:2.

**შეხვედრა VII-VIII ადგილებისთვის.** ჩუვირინა — ზინკევიჩი 6:1, 1:6, 6:1.

**მთავარი ტურნირის მესამე წრეში დამარცხებულთა სანუგეშო ასპარეზობა (IX-XVI ადგილები). I ტური.** კული — პაპაიანი 6:0, 6:2, სლეპჩენკო — ასპისოვა 6:2, 6:1, აბჟანდაძე — ჩალკო 6:0, 6:1, თუხარელი — კრეე 6:1, 6:2. **II ტური.** სლეპჩენკო — კული 6:0, 5:7, 6:4, აბჟანდაძე — თუხარელი 6:1, 6:8, 6:3. **დასკვნითი ტური.** აბჟანდაძე — სლეპჩენკო 11:9, 0:6, 6:3.

**მთავარი ტურნირის მეორე წრეში დამარცხებულთა სანუგეშო ასპარეზობა (მე-17-32-ე ადგილები). I ტური.** კარპოვა — ლუკირსკაია 3:6, 6:2, 10:8, ერემეევა — იზოპაიტისი 6:0, 6:3, ლიმაკინა — ერმოლოვა 6:0, 6:4, სინიცინა — ბირიუკოვა 6:4, 3:6, 6:4, გვაი — ზაილესი 6:3, 6:3, ფარსადანოვა — კრიუჩკოვა 6:3, 7:5, ანდერსონე — შკოლნიკი (შკოლნიკი თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა ანდერსონეს), საზონოვა — ბლაგირევა 6:4, 3:6, 6:4. **II ტური.** ერემეევა — კარპოვა (კარპოვა თამაშზე არ გამოცხადდა. გამარჯვება მიეკუთვნა ერემეევას), სინიცინა — ლიმაკინა 6:3, 6:4, ფარსადანოვა — გვაი 6:2, 13:11, საზონოვა—ანდერსონე 6:3, 6:4. **III ტური.** ერემეევა — სინიცინა 6:4, 6:3, ფარსადანოვა — საზონოვა 8:6, 6:4. **დასკვნითი ტური.** ერემეევა — ფარსადანოვა 4:6, 6:3, 6:2.

**მთავარი ტურნირის პირველ წრეში დამარცხებულთა სანუგეშო ასპარეზობა (33-ე-48-ე ადგილები). I ტური.** პეტროვა— პავლოვა 9:7, 6:4, პროკოფიევა — ნოვაშინსკაია 6:2, 6:0, ლ. დმიტრიევა — ბეჟანიცკაია 6:3, 4:6, 6:4, მგალობლიშვილი — გრანატუროვა 6:0, 6:3, რადაევა — ა. ივანოვა (სოჭი) 6:4, 6:4, ბანტლე — გაილეიუშკა 6:2, 6:0, პალმანი — გარკავაია 6:1, 4:6, 6:4, კალველტე — ე. ივანოვა 8:6, 5:7, 6:3. **II ტური.** პროკოფიევა — პეტროვა 6:1, 6:2, დმიტრიევა—მგალობლიშვილი 2:6, 7:5, 6:1, ბანტლე — რადაევა 6:0, 6:1, პალმანი — კალველტე 6:3, 6:3. **III ტური.** პროკოფიევა — დმიტრიევა 6:2, 6:1, ბანტლე — პალმანი 6:1, 6:1. **დასკვნითი ტური.** პროკოფიევა — ბანტლე 1:6, 6:3, 6:3.

ფოტო ბ. გიგაურისა.



ს. ლიხაჩოვი (ვაჟთა წყვილებში მოიპოვა I ადგილი).



მ. ჩუვირინა (ქალთა წყვილებში მოიპოვა I ადგილი).



რ. აბჟანდაძე (შერეულ წყვილებში მოიპოვა III ადგილი).



ა. ივანოვა (ქალთა წყვილებში მოიპოვა III ადგილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოათვინიერა ალამ... დვირი

ტანვარჯიშულმა დვირმა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის (გაიმართა თბილისში) ბევრ მონაწილეს უმტყუნა. მინსკელ ტონია კოშელს ამ მარცხმა სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის ჩემპიონის ტიტული დააკარგვინა. პირველ დღეს ბედმა უმუხთლა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მეორეკურსელს ალა კუკოტასაც — მან სულ 7,75 ქულა მიიღო. მეორე დილით ალა ადრე მივიდა სავარჯიშოდ და გადაწყვიტა „მოეთვინიერებინა“ ეს ურჩი დვირი. ცდა ცდას მოჰყვა და შეუპოვრობამ თავისი გაიტანა. მეორე დღეს ალამ 8,5 ქულა მიიღო, მრავალჭიდის ჯამში 72,15 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატთა შორის III ადგილისთვის სიგელიც დაისაკუთრა. მეორე პრიზიორის სახელი მ. ოსიპოვას (ესტონეთი) ხვდა — 73,2 ქულა. ჩემპიონობა მოიპოვა 15 წლის მინსკელმა ვალენტინა ტიტორენკომ — 74,7 ქულა. ვალენტინა შინ მეორე ჯილდოს ჩაიტანს. პირველი მან მინსკში მოიპოვა ივლისში, როცა „შრომითი რეზერვების“ საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონობა დაისაკუთრა. ვალენტინასთვის გამოსვლა ძნელი არ იყო—მწვრთნელი უმაგრებდა მხარს. აი, 26 წლის ერევნელს გ. არუთიუნიანს კი მარტო საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. მაგრამ იგი ლამაზად, შთაგონებით ასპარეზობდა და სპორტის ოსტატ ვაჟთა შორის დამსახურებულად გაიმარჯვა—108,85 ქულა.

ზუგდიდელ ნ. გარდავას შეჯიბრების დაწყების დღეს 15 წელი შეუსრულდა და ეს დღე წარმატებითაც აღნიშნა. მან განსაკუთრებით რგოლებზე გამოიჩინა თავი. ფინიშიც კარგი ჰქონდა: 108,15 ქულა. ეს II ადგილია. საპრიზო სამეულში მოხვდა მწვრთნელ ვ. ხაბეიშვილის მეორე აღსაზრდელი, 25 წლის პ. ქვარცხავაც — 105,3 ქულა. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის გაიმარჯვეს დონეცკელებმა ო. ერემჩენკომ (74,05) და ა. გოგენკომ (107,2). ჭაბუკთა შორის II ადგილზე აღმოჩნდა ჩვენი თანამემამულე ფ. ზანანაშვილი — 104,85 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ლენინგრადის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის გუნდმა. II ადგილზე არიან თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის წარმომადგენლები. ამას გარდა, ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა სიგელები მიიღეს პირად პირველობაში გამარჯვებისთვის. ესენი არიან: ქალთა შორის — ა. კუკოტა (ბჯენითი ხტომა) და ა. პეტრიშინა (ორძელი); ვაჟებში — ნ. ჩანტლაძე (ბჯენითი ხტომა) და ნ. გარდავა (რგოლები და თავისუფალი ვარჯიში).

**პ. ბუკინი.**

* * *



სურათზე: წამიც და, ა. კუკოტა აჯობებს დვირს.

ფოტო ავტორისა.

## მწვერვალ სამთოელზე

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სპორტულმა საბჭომ ყაზბეგის რაიონში მოაწყო ალპინიადა, რომელშიც აკადემიის 12 ინსტიტუტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საბჭომ ალპინიადის ხელმძღვანელობა დაავალა სამთო მექანიკის, ხაბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, სპორტის ოსტატს ნ. ნადირაშვილს. ალპინიადის სასწავლო ხელმძღვანელი ნ. კანკავა იყო.

კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ღონისძიებაში ჩაებნენ გამოცდილი ოსტატებიც, თანრიგოსნებიცა და ახალბედებიც. 30 მონაწილემ მიაღწია მიზანს — დაიპყრო ცენტრალური კავკასიონის მწვერვალი სამთოელი და სსრ კავშირის ალპინისტის ხამკერდე ნიშანი მოიპოვა.

ამ ღონისძიებით სათავე დაედო კარგ ტრადიციას. განზრახულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნას მთამსვლელობის სექცია, რომელიც რეგულარულად მოაწყობს ალპინიადებს. მომავალ სექციას უკვე დასახული აქვს უახლოესი გეგმები. მაგალითად, ამ ზამთარს მოეწყობა სათხილამურო გადასვლები. განზრახული აქვთ ივნისის თვე სვანეთში გაატარონ და იქ 20 თანრიგოსანი მოამზადონ.

**ლ. თორაძე.**

* * *

სურათზე: ვარჯიში მწვერვალ ყუროს მიდამოებში.

ფოტო ნ. სირაძისა.



## სხვადასხვა ამბები

● **ბელგრადი**, 3 ნოემბერი. აქ დიდ ინტერესს იწვევს იუგოსლავიის დედაქალაქის გათავისუფლებისადმი მიძღვნილი ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. 9 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს: საბჭოთა დიდოსტატი ა. გიპსლისი და იუგოსლაველი ოსტატი ე. ბუკიჩი — 6,5-6,5 ქულა.

● *კისლოვოდსკი, 3 ნოემბერი. ადგილობრივი სტადიონის განახლებული ბილიკები ამ დღეებში სსრ კავშირის ასობით საუკეთესო მძლეოსნის სარბიელად იქცა — გაიმართა შეჯიბრებები ესტაფეტებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა. II ადგილზე არიან მოსკოველები, III — ალმა-ათის წარმომადგენლები. ასპარეზობის პროგრამაში 10 ესტაფეტა იყო. „სოვეტსკი სპორტის“ ამ ტრადიციული შეჯიბრების რეკორდი 4×100 მეტრზე რბენაში დაამყარა მოსკოველ ქალთა კვარტეტმა (ნ. სკელსარა, ტ. ბარხატოვა, ნ. ნიკოლაევა, ო. კლეინი) — 46,7 წამი. მოსკოველებმა ნ. ბრუნოვა-ივანოვამ, ნ. ბესფამილნაიამ, გ. მოროსანოვამ და გ. მიტროხინამ 4×200 მ ესტაფეტაში სსრ კავშირის ჩემპიონთა მანამდე გაუთამაშებელი ოქროს მედლები მოიპოვეს. შეჯიბრების მონაწილეთა აღლუმს მოუძღოდნენ საბჭოთა მძლეოსნობის ცნობილი ვეტერანები — 1912 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ა. ელიზაროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები — მრავალჭიდში სსრ კავშირის 11-გზის ჩემპიონი ა. დიომინი და ბ. ლვოვი.*



## მოკლედ უცხოეთის ფეხბურთზე

● **ლონდონი.** როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა რ. ჩარლტონმა განაცხადა, საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ იგი მწვრთნელობას აპირებს.

● **გლაზგო.** „სელტიკის“ ხელმძღვანელობამ 10-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მარჯვენა გარემარბ ჯ. ჯონსტონთან, რომელიც 23 წლისაა. ეს ყველაზე ხანგრძლივი კონტრაქტია ფეხბურთის ისტორიაში.

● **ბრიუსელი.** შვეციის ნაკრების 4 მოთამაშე ახალი სეზონიდან ბელგიაში გადაბარგდა. ესენი არიან: თ. ნორდილი („ანდერლეჰტი“), დარინგი („ფკ ბრიუსელი“), ტურესონი და აქსელსონი (ორივე — „ფკ ბრიუგე“).

● **ნიურნბერგი.** ამ ქალაქის მაღაზიებში საინტერესო ფირფიტა გამოჩნდა: მასზე ჩაწერილია ფეხბურთის ლექციების კურსი, რომელსაც ცნობილი ავსტრიელი მწვრთნელი მერკელი კითხულობს.

● **ლონდონი.** „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაუდიდოს პრემიები მოთამაშეებს. ამიერიდან მათ თვითეულ ქულაზე 36 გირვანქა სტერლინგი მიეცემათ.

ამ ბოლო ხანს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სულ უფრო მეტ ქალს იტაცებს ჰიდაობა ძიუდო და კარატე. ეს მხოლოდ მოდის ბრალი როდია. საქმე ისაა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გამუდმებით იზრდება დანაშაულებრივ შემთხვევათა რიცხვი, ხოლო ჭიდაობა თავდაცვის კარგი საშუალებაა. ინგლისში, მაგალითად, დღე არ გავა, რომ გაზეთებში არ დაიბეჭდოს ცნობა მკვლელობაზე, ძარცვაზე, ძალადობასა და სხვადასხვა ხულიგნურ მოქმედებაზე. ძიუდოსა და კარატეს სკოლებისა და კურსების რიცხვი კი მატულობს. თავდაცვის გაკვეთილები უკვე ბევრ საშუალო სკოლაშიც ტარდება.

სურათზე: ინგლისის ერთ-ერთ სკოლაში 14 წლის მოსწავლეები თავდაცვაში მეცადინეობენ.

ფოტო აპ—აასისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# გამოიწერეთ 1969 წლისთვის!

## ჟურნალი „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური“

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა ხალხის ჯანმრთელობას, ადამიანის შემოქმედებით დღეგრძელობას, სპორტში მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვებას. ამ მიზნით მეცნიერების, მეცნიერ-მუშაკების, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და მწვრთნელების მთელი არმია იკვლევს ადამიანის ფიზიკური თვისებების განვითარების ეფექტურ მეთოდებს, რაც ხელს უწყობს სპორტული ოსტატობის სიმაღლეთა დაპყრობას.

სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებიდან, მოწინავე სპეციალისტებისგან, მუშაობის ორგანიზაციის, მეთოდიკისა და პრაქტიკის სფეროში მოპოვებული მეცნიერული ინფორმაციები იბეჭდება ჟურნალში „ტეორია ი პრაკტიკა ფიზიჩესკოი კულტური“.

სპორტსმენებთან მომუშავე მწვრთნელები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები ჟურნალში წაიკითხავენ საინტერესო მასალებს მეცნიერული კვლევის პრაქტიკულ შედეგებზე. ამ რეკომენდაციების გამოყენება ყოველდღიურ მუშაობაში უთუოდ შეუწყობს ხელს სასწავლო და საწვრთნელი პროცესის ეფექტურობის ამაღლებას.

სპორტული ექიმი მწვრთნელისა და პედაგოგის ერთგული დამხმარე და მოკავშირეა. იგი ეცნობა მომეცადინეთა სხეულის ფუნქციონალური მდგომარეობის შესწავლის ახალ, უფრო სრულყოფილ მეთოდებს, ბოლო გამოკვლევებს სპორტული ფიზიოლოგიის, ჰიგიენისა და საექიმო კონტროლის დარგში.

მეცნიერი, რომელიც ადამიანის ფიზიკური აღზრდის პრობლემებზე მუშაობს, ჟურნალში ხშირად ნახავს მასალას, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცნიერების მოწინავე მიმართულებათა დანერგვას.

ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკს შეუძლია ჟურნალის მეშვეობით სისტემატურად გაიმდიდროს ცოდნა, გაეცნოს ფიზკულტურის ორგანიზაციის საკითხებს, ახალ ტენდენციებს ადამიანის ფიზიკური სრულყოფის პრობლემათა განვითარებაში, ქვეყნის საუკეთესო ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

ჟურნალი რეგულარულად აქვეყნებს მასალებს ფიზიკური აღზრდის კანონზომიერებათა შესახებ, საზღვარგარეთის ფიზკულტურულ და სპორტულ ცხოვრებაზე.

ხელმოწერა ჟურნალზე შეუზღუდავად მიიღება „სოიუზპეჩატის“ პუნქტებში, ფოსტამტებში, კავშირგაბმულობის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში. ჟურნალზე ხელმოწერა მიიღება პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლების მეშვეობითაც საწარმოებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში. ხელმოწერის ფასია: ერთი წლით — 4 მან. 80 კაპ., 6 თვით — 2 მან. 40 კაპ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11081